

ინფორმაცია

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში მომზადებულია მერის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ, მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	44417.7	13898.1	30519.6	34911.9	6492.2	28419.7
გადასახადები	24649.3	0.0	24649.3	21483.1	0.0	21483.1
გრანტები	13898.1	13898.1	0.0	6492.2	6492.2	0.0
სხვა შემოსავლები	5870.3	0.0	5870.3	6936.6	0.0	6936.6
ხარჯები	34131.5	788.9	33342.7	29305.8	679.1	28626.7
შრომის ანაზღაურება	5841.0	0.0	5841.0	5004.0	0.0	5004.0
საქონელი და მომსახურება	6175.4	554.1	5621.2	5366.8	453.0	4913.8
პროცენტი	8.0	0.0	8.0	6.4	0.0	6.4
სუბსიდიები	16297.9	234.7	16063.1	14274.4	226.1	14048.3
გრანტები	55.0	0.0	55.0	55.0	0.0	55.0
სოციალური უზრუნველყოფა	3675.1	0.0	3675.1	3052.2	0.0	3052.2
სხვა ხარჯები	2079.2	0.0	2079.2	1547.1	0.0	1547.1
საოპერაციო სალდო	10286.2	13109.2	-2823.1	5606.1	5813.1	-207.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	20699.2	13116.3	7582.8	8207.2	7495.6	711.7
ზრდა	25472.0	13116.3	12355.7	13576.1	7495.6	6080.5
კლება	4772.8	0.0	4772.8	5368.9	0.0	5368.9
მთლიანი სალდო	-10413.0	-7.1	-10405.9	-2601.1	-1682.4	-918.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-10443.0	-7.1	-10435.9	-2629.8	-1682.4	-947.4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	10443.0	7.1	10435.9	2629.8	1682.4	947.4

ვალდებულებების ცვლილება	-30.0	0.0	-30.0	-28.7	0.0	-28.7
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	30.0	0.0	30.0	28.7	0.0	28.7
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2024 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 12,146.7 ათასი ლარი.

2024 წლის III კვარტლის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 9,516.9 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 9 თვის შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	49190.5	40280.8	81.9
შემოსავლები	44417.7	34911.9	78.6
არაფინანსური აქტივების კლება	4772.8	5368.9	112.5
გადასახდელები	59633.5	42910.6	72.0
ხარჯები	34131.5	29305.8	85.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	25472.0	13576.1	53.3
ვალდებულებების კლება	30.0	28.7	95.8
ნაშთის ცვლილება	-10443.0	-2629.8	

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 49,190.5 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40,280.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 81.9%.

I შემოსავლები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 44,417.7 ათასი ლარი ფაქტიურად 34,911.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 78.6% შეადგინა.

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მოხილზებულია 21,483.1 ათასი ლარი.

ქონების გადასახადიდან - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 16,634.4 ათასი ლარის შემოსავალი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ბიუჯეტში მიღებულია 4,848.6 ათასი ლარის შემოსავალი.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 6,492.2 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 236.6 ათასი ლარი, დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის - 454.0 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერი - 5,801.6 ათ. ლარი.

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 5,870.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 6,936.6 ათასი ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 118.2% შეადგინა, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 927.2 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 1,020.2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 917.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 102.8 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 388.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ **სანებართვო მოსაკრებელიდან** (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე) მთლიანობაში მიღებულია 247.4 ათასი ლარი.
- ✓ **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 133.9 ათასი ლარი.
- ✓ **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების მუხლიდან** მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 7.1 ათასი ლარი.

სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3,899.3 ათასი ლარი შეადგინა.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 701.4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივებიდან გეგმის სახით გათვალისწინებული იყო 4,772.8 ათასი ლარის მიღება. ნაცვლად ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 5,368.9 ათასი ლარის შემოსავალი (შესრულება - 112.5%). მათ შორის: 1,692.1 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივები (მიწის) გაყიდვიდან - 3,676.8 ათასი ლარი.

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წელს 9 თვის გადასახდელების საკასო შესრულების 72.0%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 59,633.5 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 42,910.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 72.0%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 34,131.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 29,305.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85.9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25,472.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 13,576.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 53.3%-ია.

ვალდებულების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა - 30.0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 28.7 ათ. ლარი შეადგინა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრა 5,841.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5,004.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85.9%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 6,175.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 5,366.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.9%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 8.0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯმა - 6.4 ათ. ლარი შეადგინა.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრა 16,297.9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 14,274.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.6%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 586.3 ათასი ლარი;
- საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 201.7 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 219.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) - 115.8 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქის მიერ)– 1,336.6 ათასი ლარი;
- სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მიერ) – 7,767.9 ათასი ლარი;
- სპორტული სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მიერ) – 1,929.3 ათასი ლარი;
- სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 172.8 ათასი ლარი;

- ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 162.6 ათასი ლარი;
- კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 558.1 ათასი ლარი;
- მუზეუმების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ) – 187.5 ათასი ლარი;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 105.3 ათასი ლარი;
- მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ მეგობრობის ცენტრის მიერ) – 134.7 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის მიერ) – 423.7 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ხელშეწყობა - 42.0 ათასი ლარი;
- თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრის მიერ)– 252.9 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 55.0 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 55.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3,675.1 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3,052.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 83.1%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 683.1 ათასი ლარი;
- სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა - 53.0 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 296.9 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 0.7 ათასი ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება - 104.2 ათასი ლარი;
- დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა - 1.5 ათასი ლარი;

- უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება - 44.2 ათასი ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება - 7.1 ათასი ლარი;
- უხუცეს პირთა სოციალური დაცვა - 0.6 ათასი ლარი;
- შშმ პირთა სოციალური დაცვა - 29.1 ათასი ლარი;
- ბავშვთა პროგრამები - 78.0 ათასი ლარი;
- სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა - 70.3 ათასი ლარი.
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურება - 276.2 ათასი ლარი;
- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურება - 146.6 ათასი ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა - 69.5 ათასი ლარი;
- უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები - 28.4 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების დახმარება - 34.7 ათასი ლარი;
- მარტოხელა მშობლების დახმარება - 37.5 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა - 2.4 ათასი ლარი;
- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფა - 15.2 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 977.1 ათასი ლარი;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 0.8 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2,079.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდი 215.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1,547.1 ათასი ლარის მოცულობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდიდან 212.5 ათასი ლარი. „სხვა ხარჯების“ მთლიანმა შესრულებამ გეგმის 74.4% შეადგინა. მერის სარეზერვო ფონდის საკასო შესრულება გეგმის 98.8%-ია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან 2024 წელს დაფინანსდა მოსახლეობისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:

- წარმატებულ სპორტსმენტთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები - 12.2 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 6.0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 64.9 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 43.7 ათასი ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა - 79.9 ათასი ლარი;
- სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა - 8.2 ათასი ლარი;

გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით 9 თვის საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 8,286.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (9,739.8 ათასი ლარი) 85.1%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება - 13,662.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (22,454.6 ათასი ლარი) 60.8%-ია;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 3,696.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,130.3 ათასი ლარი) 60.3%-ია;
- ❖ განათლება - 8,452.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,268.8 ათასი ლარი) 82.3%-ია;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5,050.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,506.4 ათასი ლარი) 77.6%-ია;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3,762.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,533.6 ათასი ლარი) 83.0%-ია.

დაზუსტებული ასიგნებების შესრულება

(ათას ლარებში)

ორგ. კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	გარდაზნის მუნიციპალიტეტი	59633.5	13905.2	45728.3	42910.6	8174.6	34736.0	72.0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9739.8	0.0	9739.8	8286.5	0.0	8286.5	85.1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	9383.9	0.0	9383.9	7943.1	0.0	7943.1	84.6
01 01 01	გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1861.0	0.0	1861.0	1699.2	0.0	1699.2	91.3
01 01 02	გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერია	7466.6	0.0	7466.6	6207.5	0.0	6207.5	83.1
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	56.3	0.0	56.3	36.4	0.0	36.4	64.8
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	356.0	0.0	356.0	343.4	0.0	343.4	96.5
01 02 01	სარეზერვო ფონდი	215.0	0.0	215.0	212.5	0.0	212.5	98.8
01 02 02	მფგ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	38.0	0.0	38.0	35.1	0.0	35.1	92.3
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები	27.0	0.0	27.0	26.3	0.0	26.3	97.4
01 02 04	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	55.0	0.0	55.0	55.0	0.0	55.0	100.0

01 02 05	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	21.0	0.0	21.0	14.6	0.0	14.6	69.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	22454.6	12113.2	10341.4	13662.2	6819.6	6842.5	60.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12790.0	10862.5	1927.5	7271.9	6387.4	884.5	56.9
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია	12687.0	10862.5	1824.5	7223.4	6387.4	836.0	56.9
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	20.0	0.0	20.0	16.2	0.0	16.2	80.8
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	83.0	0.0	83.0	32.4	0.0	32.4	39.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1538.8	0.0	1538.8	1157.0	0.0	1157.0	75.2
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	152.7	0.0	152.7	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია	300.0	0.0	300.0	259.8	0.0	259.8	86.6
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	70.1	0.0	70.1	28.3	0.0	28.3	40.3
02 02 05	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	769.7	0.0	769.7	667.3	0.0	667.3	86.7
02 02 06	საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა	246.3	0.0	246.3	201.7	0.0	201.7	81.9
02 03	გარე განათება	2408.1	345.2	2062.9	2269.1	334.5	1934.6	94.2
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1600.0	0.0	1600.0	1524.4	0.0	1524.4	95.3
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	808.1	345.2	462.9	744.7	334.5	410.1	92.2
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2489.7	0.0	2489.7	1556.5	0.0	1556.5	62.5
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	683.4	0.0	683.4	229.5	0.0	229.5	33.6
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	502.6	0.0	502.6	57.5	0.0	57.5	11.4
02 04 03	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია	1049.1	0.0	1049.1	1049.1	0.0	1049.1	100.0
02 04 04	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	254.6	0.0	254.6	220.4	0.0	220.4	86.6
02 05	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	28.9	0.0	28.9	0.0	0.0	0.0	0.0
02 05 01	სარწყავი არხების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	28.9	0.0	28.9	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	756.1	89.1	667.1	535.6	0.0	535.6	70.8
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	620.5	9.1	611.5	535.6	0.0	535.6	86.3
02 06 02	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	135.6	80.0	55.6	0.0	0.0	0.0	0.0
02 07	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	1095.5	0.0	1095.5	774.4	0.0	774.4	70.7
02 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	428.0	0.0	428.0	244.6	0.0	244.6	57.2
02 07 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	607.5	0.0	607.5	509.4	0.0	509.4	83.8
02 07 03	ქსელებზე დაერთებასა და მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები	60.0	0.0	60.0	20.4	0.0	20.4	33.9

02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1347.5	816.4	531.1	97.7	97.7	0.0	7.2
02 08 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	616.4	616.4	0.0	97.7	97.7	0.0	15.8
02 08 02	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა	731.1	200.0	531.1	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6130.3	896.2	5234.1	3696.8	667.0	3029.8	60.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1533.9	0.0	1533.9	1336.6	0.0	1336.6	87.1
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1496.4	0.0	1496.4	1336.6	0.0	1336.6	89.3
03 01 02	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა	37.5	0.0	37.5	0.0	0.0	0.0	0.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	3883.2	896.2	2987.0	1647.0	667.0	980.0	42.4
03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	3747.9	896.2	2851.7	1529.5	667.0	862.5	40.8
03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა	135.3	0.0	135.3	117.5	0.0	117.5	86.9
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	713.2	0.0	713.2	713.1	0.0	713.1	100.0
03 03 01	ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა	713.2	0.0	713.2	713.1	0.0	713.1	100.0
04 00	განათლება	10268.8	554.1	9714.7	8452.2	453.0	7999.2	82.3
04 01	სკოლამდელი განათლება	9194.8	0.0	9194.8	7824.9	0.0	7824.9	85.1
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	9164.5	0.0	9164.5	7807.0	0.0	7807.0	85.2
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	30.3	0.0	30.3	17.9	0.0	17.9	59.0
04 02	დაწყებითი ზოგადი განათლება	1074.0	554.1	519.9	627.3	453.0	174.3	58.4
04 02 01	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	486.9	0.0	486.9	174.3	0.0	174.3	35.8
04 02 02	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	554.1	554.1	0.0	453.0	453.0	0.0	81.7
04 02 03	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ხელშეწყობა	33.0	0.0	33.0	0.0	0.0	0.0	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6506.4	97.0	6409.5	5050.3	0.0	5050.3	77.6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4293.2	63.4	4229.8	3329.2	0.0	3329.2	77.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	311.8	0.0	311.8	172.0	0.0	172.0	55.2
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	2030.0	0.0	2030.0	1936.4	0.0	1936.4	95.4
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	1851.4	63.4	1788.0	1146.6	0.0	1146.6	61.9
05 01 04	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	100.0	0.0	100.0	74.2	0.0	74.2	74.2
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2117.4	33.6	2083.8	1630.1	0.0	1630.1	77.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	226.9	0.0	226.9	161.8	0.0	161.8	71.3
05 02 02	ტელევიზიის დაფინანსება	37.5	0.0	37.5	25.7	0.0	25.7	68.5
05 02 03	სახელოვნო სკოლების ხელშეწყობა	200.9	0.0	200.9	172.8	0.0	172.8	86.0
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	181.3	0.0	181.3	162.6	0.0	162.6	89.7
05 02 05	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	619.6	0.0	619.6	563.5	0.0	563.5	90.9
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	200.0	0.0	200.0	187.5	0.0	187.5	93.7
05 02 07	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	134.0	0.0	134.0	105.3	0.0	105.3	78.5

05 02 08	მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა	149.8	0.0	149.8	134.7	0.0	134.7	89.9
05 02 09	კულტურის ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	367.4	33.6	333.8	116.3	0.0	116.3	31.7
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	95.9	0.0	95.9	91.0	0.0	91.0	94.9
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	95.9	0.0	95.9	91.0	0.0	91.0	94.9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4533.6	244.7	4288.8	3762.6	235.0	3527.6	83.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	658.7	244.7	414.0	510.7	235.0	275.7	77.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	450.7	244.7	206.0	432.6	235.0	197.6	96.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	208.0	0.0	208.0	78.2	0.0	78.2	37.6
06 02	სოციალური პროგრამები	3874.8	0.0	3874.8	3251.9	0.0	3251.9	83.9
06 02 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	828.5	0.0	828.5	683.1	0.0	683.1	82.5
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	42.0	0.0	42.0	42.0	0.0	42.0	100.0
06 02 03	სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა	75.8	0.0	75.8	53.0	0.0	53.0	69.9
06 02 04	თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა	277.2	0.0	277.2	252.9	0.0	252.9	91.2
06 02 05	ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	340.0	0.0	340.0	296.9	0.0	296.9	87.3
06 02 06	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	5.0	0.0	5.0	0.7	0.0	0.7	14.0
06 02 07	დიალექტზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა	115.5	0.0	115.5	104.2	0.0	104.2	90.2
06 02 09	დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	7.5	0.0	7.5	1.5	0.0	1.5	20.0
06 02 10	უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	53.5	0.0	53.5	44.2	0.0	44.2	82.6
06 02 11	ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	22.5	0.0	22.5	7.1	0.0	7.1	31.6
06 02 12	უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	6.0	0.0	6.0	0.6	0.0	0.6	10.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	65.3	0.0	65.3	29.1	0.0	29.1	44.6
06 02 14	ბავშვთა პროგრამები	120.0	0.0	120.0	78.0	0.0	78.0	65.0
06 02 15	სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა	90.4	0.0	90.4	70.3	0.0	70.3	77.8
06 02 16	სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	284.5	0.0	284.5	276.2	0.0	276.2	97.1
06 02 17	ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა	210.0	0.0	210.0	146.6	0.0	146.6	69.8
06 02 18	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა	71.0	0.0	71.0	69.5	0.0	69.5	97.9
06 02 19	უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები	48.8	0.0	48.8	28.4	0.0	28.4	58.3
06 02 20	სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	47.5	0.0	47.5	34.7	0.0	34.7	73.1
06 02 21	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	54.0	0.0	54.0	37.5	0.0	37.5	69.4
06 02 22	სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა	15.0	0.0	15.0	2.4	0.0	2.4	16.1
06 02 23	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა	17.5	0.0	17.5	15.2	0.0	15.2	86.6
06 02 24	სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	1040.0	0.0	1040.0	977.1	0.0	977.1	94.0

06 02 26	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	37.5	0.0	37.5	0.8	0.0	0.8	2.2
----------	---	------	-----	------	-----	-----	-----	-----